ინსტრუქცია:

გაეცანით წყაროს და პასუხი გაეცით ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

ყურადღება: *თითოეული შეკითხვის შეფასების ქულა მოცემულია შეკითხვაში ან შეკითხვის ბოლოს (სულ 10 ქულა)*

მარტინ ლუთერი, 1483-1546 წწ., "ლათინური თხზულება"

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

ა) "პაპისტებმა სამმაგი დამცავი კედელი ამოაშენეს. როცა რეფორმას საერო ხელისუფალნი მოითხოვენ, ისინი პასუხობენ - საერო ხელისუფლებას საეკლესიო საქმეებში ჩარევის უფლება არა აქვს და სასულიერო ხელისუფლება უფრო მაღლა დგასო; თუ რეფორმებს წმინდა წერილებზე დაყრდნობით მოითხოვენ, ისინი უპასუხებენ, წმინდა წერილის განმარტების უფლება მხოლოდ პაპს აქვსო, დაბოლოს, თუ საეკლესიო კრების მოწვევით დაემუქრებიან, ისინი უპასუხებენ, მხოლოდ პაპს აქვს უფლება, გადაწყვიტოს, საეკლესიო კრება როდის და რა შემთხვევაში მოიწვიოსო".
ბ) "თავად პაპმაც კი უნდა აღიაროს, რომ მისი მეუფება უფრო უარესი და ამაზრზენია, ვიდრე სოდომისა და გომორასი".
გ) "ჩემს ცნობიერებას შფოთვაში მოვყავდი და არაერთგზის ვუღრმავდებოდი წმინდა პავლეს სიტყვებს, რათა ჩავწვდომოდი თუ რისი თქმა სურდა. დღე და ღამე ვფიქრობდი მის სიტყვებზე -- რწმენით გამართლებულნი, ღმერთთან მშვიდობას ვამყარებთ უფლისა ჩვენის, იესოს მეშვეობით... "წმინდანი რწმენით ცოცხლობს"... ბოლოს, ღმერთს შევებრალე და მივხვდი, რომ ღმერთის სამართალი ის არის, რითაც წმინდანი ცოცხლობს -- ღვთის წყალობა, ანუ რწმენა... სახარება წინ გადაგვიშლის ღვთის სამართლიანობას, რომელსაც ჩვენ ვიღებთ, და რწმენას, რომლითაც ყოვლადმოწყალე ღმერთი ჩვენ გვამართლებს."
დ) "წარმოუდგენელია, რომ უფლის რწმენა არსებობდეს უამრავი ქველი საქმის გარეშე. მეორე მხრივ, შესაძლებელი რომ იყოს დანაშაულის ჩადენა ისე, რომ არ შებღალო შენი რწმენა, ის დანაშაული ცოდვა არ იქნებოდა. ...არ შეიძლება უთხრა მზეს: შენ უნდა ანათო ან მსხლის ხეს: შენ მსხალი უნდა მოისხა და არა სხვა ნაყოფიო. ეს თავისთავად ასე ხდება. ზუსტად ასევე შეუძლებელია, უბრძანო რწმენას, მიუერთდეს კეთილ საქმეებს, რადგან ჭეშმარიტი რწმენა თავისი არსით ისედაც წარმოუდგენელია წმინდა ცხოვრების გარეშე".
ე) "ღმერთს არ შეუძლია და არც სურს, მისცეს ვინმეს უფლება, იბატონოს ადამიანთა სულებზე, გარდა თავად ღმერთისა".
ვ) "პაპს შეუძლია მხოლოდ იშუამდგომლოს უფლის წინაშე ცოდვილთა სულებისთვის, მაგრამ უფალზეა დამოკიდებული, შეისმენს თუ არა თხოვნას".

ზ) "ჩემგან მოითხოვენ პირდაპირ, ნათელ და კატეგორიულ პასუხს. ძალიან კარგი, მეც პირდაპირ გიპასუხებთ: მე არ შემიძლია დავუმორჩილო ჩემი რწმენა არც პაპს და არც საეკლესიო კრებებს, რადგან დღესავით ნათელია, რომ ისინი ხშირად ცდებოდნენ და წინააღმდეგობებში ვარდებოდნენ. ამიტომ, თუ მე არ დამარწმუნებენ წმინდა წერილიდან მოყვანილი სიტყვებით ან ცხადი, გონივრული საბუთებით და ასეთი გზით არ მიაბამენ ჩემს სინდისს ღვთის სიტყვასთან, არ შემიძლია და არც მსურს უარვყო არაფერი, რადგან არ შეჰფერის ქრისტიანს თავისი სინდისის წინააღმდეგ წასვლა. აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს. ღმერთი მფარავდეს. ამინ".

წერილობითი წყაროს ანალიზის შაბლონი

<u>ავტორი</u>

- ვინ არის წყაროს შემქმნელი? (1 ქულა)

<u>მსოფლმხედველობა</u>

- როგორია წყაროს ავტორის მსოფლმხედველობა და თვალსაზრისი მის მიერ აღწერილი მოვლენების მიმართ? (1 ქულა)

<u>დრო და ადგილი</u>

- როგორ მოქმედებს ამ კონკრეტული წყაროს შექმნის დრო/ეპოქა (1 ქულა) და ადგილი (1 ქულა) მის შინაარსზე?

აუდიტორია

- ვისთვის შეიქმნა ეს წყარო (1 ქულა) და როგორი გავლენა შეეძლო მოეხდინა მას იმდროინდელ ადამიანზე/საზოგადოებაზე (1 ქულა)?

მიზეზი

- რა იყო ამ წყაროს შექმნის მიზეზი/მიზეზები? (1 ქულა)

ძირითადი იდეა

- რა ძირითადი იდეა/იდეებია გადმოცემული წყაროში? (1 ქულა)

<u>მნიშვნელობა</u>

- რამდენად მნიშვნელოვანია წყარო (1 ქულა) და რატომ არის მნიშვნელოვანი? (1 ქულა)?